სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 თებერვალი 2026

N 21/2169

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს
მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა №129, ბლოკი B, სართული №2
ელ.ფოსტა: contact@agl.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი 2026 წლის 2 თებერვლის №1321 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში მდინარე აჭარისწყალზე შუახევი ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად). ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გავალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შემთხვევაში სკრინინგის განცხადება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე არ არის თანდართული shp-ფაილები. აგრეთვე არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარებითი ანალიზი, საბაზისო პროექტთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსის მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/2169-21-2-202602201619

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE